

# სპორტიელი

ეროვნული  
სპორტული

სპორტული გაზეთი სამუშაოთი 20 აპრილი 1999 №70 (843) შპსი 1 ლარი

გურამ დოღვენიძე



შაბათს ვაკეში. „ლოკომოტივი“ — „გურია“. თბილისელ პამლეტ წივწივადეს იმ დღეს გოლი არ გაუტანია, მაგრამ ერთი ისეთი დაარტყა, თამაშის მხარველთ დიდხანს ეხსოვებათ

საპრივილი  
23  
ტურში

16 აპრილი, პარასკევი

თსუ	1
სიონი	0

17 აპრილი, შაბათი

ბათუმი	0
დიანო	0
ლოკომოტივი	1
გურია	0

იბარია	2
დილა	0

ვიტ ჯორჯია	3
სამგურალი	0

ოდიში	0
მერანი	1

ტორკადო	1
არსენალი	1

18 აპრილი, კვირა

კოლხეთი	5
გორდა	0

დიანო	23	18	5	0	70:10	59
ტორკადო	23	15	4	4	52:20	49
ლოკომოტივი	23	12	10	1	29:12	46
ბათუმი	23	10	9	4	33:16	39
კოლხეთი	23	11	4	8	48:34	37
მერანი	23	8	9	6	23:21	33
დილა	23	9	5	9	29:35	32
ვიტ ჯორჯია (-3)	23	10	4	9	27:20	31
იბარია	23	8	5	10	34:37	29
არსენალი	23	6	9	8	27:40	27
სამგურალი	23	7	3	13	20:40	24
თსუ	23	5	8	10	17:26	23
გორდა	23	4	9	10	14:32	21
ოდიში	23	6	2	15	16:39	20
სიონი	23	5	5	13	19:42	20
გურია	23	3	3	17	22:56	12

## ინტრიგა: ლოკომოტივი

„კოლხეთი“ — „გორდას“ კვირის მატჩით დამთავრდა მეათე ეროვნული ჩემპიონატის ოცდამესამე ტური. ფოთლებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს და საკმაოდ მიუახლოვდნენ „ბათუმს“. ტური იმითაც გამოდგა აღსანიშნავი, რომ თსუ-მ ბოლოსწინა, მეთხუთმეტე ადგილს დააღწია თავი. ამ ჯერზე „გურიასთან“ „სიონი“ დაწყვილდა. „ტორკადოს“ მოულოდნელი ფრით „ლოკომოტივმა“ ისარგებლა, „გურიას“ მოუვტ და ახლა სამი ქულით ჩამორჩება ვერცხლის მაძიებელს. ერთი მხრივ, კარგიცაა, ასე რომ ხდება — ერთადერთი „ლოკომოტივილია“ უნარჩუნებს ჩემპიონატს ინტრიგას.


ტურის მიმოხილვა მეორე-მესამე-მეოთხე გვერდებზე

## დიადი... დიადი... დიადი... ნაპიდა

პპირას დრო გაჩერდა. „მედისონ სკვერ გარდენში“ სპორტს გამოეთხოვა ეგების მისი უდიდესი გმირი — უეინ გრეცკი. განა სასაცილო არ იქნებოდა, ახლა რომ გვეთქვა, უეინ გრეცკი პოკისტი და ასეთი პოკისტი მეტი არ ყოფილა... ასეთი რამეების აღნიშვნა სასაცილოა. იმიტომ, რომ გრეცკი, უპირველესად, სპორტსმენი იყო და მერე ერთი რომელიმე სახეობის მიმდევარი. მისთვის არ დაურქმევიათ პოკისტი ტური მეტსახელი, რაც ასე ხშირია კანადასა და ამერიკაში. მას უბრალოდ ეძახდნენ — „დიადი ვინმე“.

კვირას კი, გრეცკის უკანასკნელი კლუბი „ნიუ იორკ რეინჯერსი“ პიტსბურგელ „პინგვინებს“ მასპინძლობდა. ლიგის რეგულარული ჩემპიონატის უკანასკნელი და მინც ჩვეულებრივი შეხვედრა — რომელიც დიდ კაცთან გამოსათხოვარ საღამოდ იქცა. მოვლენის სიდიდე ვერ შეარყია „რეინჯერსის“ მორიგმა მარცხმა (იარომირ იაგრმა ოვერტიმში გაუტანა მასპინძლებს), რადგან ამ კვირა დღეს მთავარი სულ სხვა იყო.

„მედისონ სკვერ გარდენის“ ტრიბუნაზე იჯდა მარო ლემე, „დიადი ვინმეს“ მარადიული მედვარი. იქვე იყო მარკ მუსი, ძველი მეგობარი, თანაგუნდელი და თანაშემწე თანატოლი, მის ოდიხელ გამარჯვებათა მონაწილე.



უეინ გრეცკი: დრო მიდის, მეც თან მივყავარ

აჰ, რამდენი რამ იყო იმ საღამოს... უკანასკნელ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე გრეცკის ცრემლი მოადგა პრესკონფერენციაზე, მრავალი წლის წინათ ასევე ტიროდა იგი, როცა ედმონტონის ეთხოვებოდა და ლოს ანჯელესში გადადიოდა. გაზეთები წერდნენ, თავის ლეგენდარულ ციგურებს „დიადი ვინმე“ მეგობრებს წულებზე ცვლისო. უეინი კი დაბნეული ილიმებოდა, ჩავჯდები ჩემს ახალთახალ „მერსედესში“ და ბავშვებს

სკოლაში ვატარებო. არანაკლებ დაბნეული იყო გამარჯვების გოლის გამტანი იაგრი. ის გრეცკის უბოდიშებდა, ვიცოდი, ეს თამაში თქვენი იყო, სერ, ვიცოდი, რომ „რეინჯერსს“ თქვენთვის უნდა მოეძღვნაო. „დიადი ვინმე“ რის „დიადი ვინმე“? იქით ამშვიდებდა — სწორედ შენ რომ გაიტანე, ის მახარებდაო.

თავად გრეცკიმ საუცხოოდ ითამაშა — მეორე პერიოდში საგოლე პასიც მოახერხა, კარიერაში 1963-ე და უკანასკნელი. ყველა მონაცემით მას კვლავ შეუძლია თამაში.

და თქვა ლიგის კომისიონერმა გარი ბეტმენმა მელეგარედ: „აღარასოდეს, აღარასოდეს არავინ ჩაიცმევს მისსურს ამ ნომრით. ოთხმოცდაცხრამეტი — ეს ჩვენთვის ნიშნავს...“ მერე დიდი პაუზა იყო, ან კი რა საჭიროა იმის თქმა, თუ რას ნიშნავს ოთხმოცდაცხრამეტი?

თავად უეინ გრეცკიმ კი, „დიადი ვინმე“, ასეთი სიტყვა დატოვა: „პოკეი ბრწყინვალე რამ არის. მასზე ბევრს იფიქრებ და დაწერ, აზრს გამოთქვამ, მას უყურებ და მას ითამაშებ. ყოველივე სინარულს განიჭებს. მკლავს იმაზე ფიქრი, რომ არ ვითამაშებ. მაგრამ პოკეი მძიმე სპორტია. დრო მიდის და მეც თან მივყავარ. ბიჭობისას შემიყვარდა ეს თამაში და ღმერთს ვმადლობ, რომ დღემდე გამომეცა ეს გრინობა“.



ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ოთარ თუშიშვილი მოლდოველ ოქტავიან გუციუკს მოერია

## საჩვენო ოქრო ბათავდა

ბოლო წლებში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, კერძოდ, ელდარ კურტანიძე და დავით პოლოსიანი, ევროპული ჩემპიონატების ოქროს მედლებით გვანებიერებდნენ. სამწუხაროდ, ამ დღეებში ეს ტრადიცია დაირღვა და ჩვენი ფალავნები მინსკიდან სამი ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ. უფულობამ, უმეჯიბრობამ, უყურადღებობამ და სხვა მრავალმა მიზეზმა პოლოსიანი-კურტანიძის ჩვეულებრივად გაგვიფერულა — ევროპაში საჩვენო ოქრო აღარ აღმოჩნდა.

ბრინჯაოსმედალოსანთაგან უპირველესად ოთარ თუშიშვილი (58) იმსახურებს გამოჩენას. ის გუნდის დებიუტანტია, შარშან ახალგაზრდებში გამოდიოდა, წლებს კი უფროსთა ხალიჩა დააჭაშნიკა და ავერ ბრინჯაოც.

მინსკური ბრინჯაო პირველი ევროპული მედალია ემზარ ბედინიძისთვის (69). ნახევარფინალი მან ძლიერ ფალავანთან, რუს ალაჰვერდიევთან წააგო. მათგან განსხვავებით, ელდარ კურტანიძის (97) ბრინჯაო უკან გადადგმული ნაბიჯია. ნახევარფინალში ელდარიც რუსთან, მსოფლიოს ჩემპიონ კურმაგომელოვთან დამარცხდა.

REUTERS მინსკიდან






















მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. პერიოდული



ურუგვაი 2:1 ბრაზილია
0:1 ფერნანდო ბაიანო (27), 1:1 ანჩინი (44), 2:1 კანობიო (86)



ურუგვაი — ბრაზილია 2:1. სამხრეთამერიკულ დღეულში ბურტოს არ დაუსვენია — ხან დაბლა იყო, ხან მაღლა

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის სამგზის გამარჯვებული ბრაზილია ტურნირის გამოებითა — სამხრეთამერიკელთათვის თანაკონტინენტელი ურუგვაი დაუძლეველი ბარიერი გამოდგა.

იქნებ და აღარ არიან

ტემის თანაბარი ძალისანი იყვნენ და ალბათ ამიტომაც მივიდა საქმე ჯერ დამატებით დროდღე, მერე კი პენალტებიამდე.

პარმა კბილებს
გვირიტებს

უფასო თანის სავსეშრო ნახვევადი მატჩები

პარმა VS ატლეტიკო
როგორც ჩანს, „პარმა“ ამ საღამოს „ატლეტიკოს“ არ შეუტევს და არა მარტო იმიტომ, რომ მაღრიდში 3:1 აქვს მოგებული, არამედ იმიტომაც, რომ...

მოთად ვანზე არც პარმელთა არგენტინელი გამთამაშებელი, ზუან ერონი გახლავთ, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მის ყოფილ-არყოფნაზე იმდენი რამაა დამოკიდებული, რომ მალესანი მას სკამზე ნამდვილად ვერ დასვა...

სულ რაღაც ოთხი სეზონის წინ „ბოლონია“ სერია C-ში გამოდიოდა, დღეს კი უფასო თანის ნახვევარფინალშია და თვით „მარსელს“ ებრძვის.

ბოლონია VS მარსელი

„ბოლონია“ საფრანგეთის პირველობის ლიდერს „მარსელს“ ძალიან ყოჩაღად ხვდება: იტალიის სტუდენტური ქალაქის გუნდს ეროვნულ პირველობაზე ასეთი კარგი დროება ისტორიაში არ ჰქონია.

საინტერესოა, ბოლონიელებმა დღეს რომ მოიგონ განდებანი მეორენი, უფასო თანის ფინალისკენ სვლა ინტერტოტოს სათავეებიდან რომ დაიწყეს (პირველი 1996 წელს „ბორდო“ იყო).

სულ რაღაც ოთხი სეზონის წინ „ბოლონია“ სერია C-ში გამოდიოდა, დღეს კი უფასო თანის ნახვევარფინალშია და თვით „მარსელს“ ებრძვის.

მსაბნეთი 1:1 (პენ 87) ბანა


1:0 ბაკერი (54), 1:1 ოფორი კუაე (90)
მსაბნეთი: ივერი, კორა (ალექსი 105), ბერმუდო, იესუ, ორბაისი, მარჩენა, გაბრი, ხავი, პაბლო (იესტე 86), ვარელა, ბაკერი (რუბენი 64)

ნაპოლეონი 2:0 მმსიპა

1:0 მოტოიამა (4), 2:0 ონი (24)
ნაპოლეონი: მინამი, ტუმბი, ცუვიმოტო, საკაი, ოგასავარა, ტაკაპარა (ბანდო 86), მოტოიამა (იშოკავა 55), ენდო, ნაკატა, ონი, ნაგაი (ტაკადა 63)



ორი კვირის წინ მარსელელი და სიღვა ბოლონიელ მაინის თავზე ადგა







ტიმისტეპი

ეს გუნდი მიუნენში ფავორიტად ჩავიდა. არადა, ჯგუფური ეტაპების მერე ამას ვერავინ იფიქრებდა.

ზაფხულში კლუბმა ახალი მწვრთნელი მიიწვია. ხორვატი პეტარ სკანსკის, 60-იანი წლების დიდ მოთამაშეს, მწვრთნელობაშიც დიდი გამოცდილება ჰქონდა.

განსაკუთრებით ძლიერია უკანა ხაზი. ინგლისში დაბადებული, ამერიკაში გაზრდილი და იტალიის მოქალაქეობამიღებული კარლტონ მაიერსი მეტად სახიფათო მოთამაშეა, დაცვა ეხერხება, მაგრამ უფრო შეტევაშია მარჯვე.


დერბი ევროპის დონეზე

ეპროლიგის „ოთხთა ფინალი“ დღეს იწყება
ჰალლიისი (კაუნაი, ლიგა) – ოლიმპიკოსი (აიროსი, საბარკანთი)
ტიმისტეპი (გოლონია, იგალია) – კინდერი (გოლონია, იგალია)

დერბი, ესე იგი ზედააბული თამაში. მით უმეტეს მაშინ, როცა ქალაქური ამბავი უმაღლეს დონეზე ირჩევა. გამარჯვება ძვირფასია – მოგებული ევროლიგის ფინალშია.

ბოლონიური დერბი შარშანდელი ევროლიგის მეოთხედფინალშიც გაიმართა. პირველ მატჩში საშინელი ჩხუბი ატყდა. ისეთი, უკლებლივ ყველა მოთამაშემ რომ იჩხუბა.

დღევანდელ მატჩში უპირატესობა „ტიმისტემს“ მხარესაა. ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე ამ გუნდმა ორჯერ ორ-ორი ქულით დაამარცხა მეტოქე: იტალიის ჩემპიონატშიც სამჯერ სძლია „კინდერს“.



მათ შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა: ტიმისტემელი კარლტონ მაიერსი (მარცხენა ფოტოზე) და კინდერელი პრედრაგ დანილოვიჩი



ტიმისტეპი (გოლონია, იგალია)

მწვრთნელი: პეტარ სკანსკი (სერვატია)

I ჯგუფური ეტაპი /5-5/

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes: ოლიმპია (63:66, 45:57), ვიდურბანი (84:61, 66:71), რეალი (66:73, 69:65), პაოკი (76:61, 59:68), სამარა (77:58, 71:59)

II ჯგუფური ეტაპი /4-2/

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes: ოლიმპიკოსი (60:63, 73:62), კინდერი (74:72, 67:65), ცსკა (83:69, 67:69)

მარკადფინალი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes: პანათინაიკოსი (63:58, 88:64), მათხადფინალი (რეალი 90:63, 76:65)

Main statistics table with 16 columns: Name, Country, Year, Position, Height, Weight, Points, Rebounds, Assists, Steals, Blocks, Free Throws, Three Pointers, Field Goals, Points per Game, etc.



კინდერი (გოლონია, იგალია)

მწვრთნელი: პეტრო გუნიტა (იტალია)

I ჯგუფური ეტაპი /7-3/

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes: ოლიმპიკოსი (67:72, 50:55), ცსკა (86:65, 70:62), ულქერი (66:49, 60:49), ზადარი (62:53, 65:55), ალბა (78:52, 72:75)

II ჯგუფური ეტაპი /3-3/

Table with 2 columns: Player Name and Score. Includes: ტიმისტეპი (72:74, 65:67), პაოკი (78:56, 57:71), სამარა (80:58, 71:61)

მარკადფინალი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes: მაკაბი (78:57, 70:55), მათხადფინალი (პო ორტივი 59:67, 93:75, 70:54)

Main statistics table for the second group of teams, with 16 columns: Name, Country, Year, Position, Height, Weight, Points, Rebounds, Assists, Steals, Blocks, Free Throws, Three Pointers, Field Goals, Points per Game, etc.






ოკლენდი — იოჰანესბურგი: იოჰანესბურგელმა ნაკადროცკემ (ბურთით) ვერც ლელთ გაიტანა და ვერც მისმა გუნდმა აჯობა მოწინააღმდეგეს



კვიპატაუნი 28:19 კრისტჩირჩი ოკლენდი 24:11 იოჰანესბურგი  
დურბანი 29:0 პრეტორია კანაბრა 27:16 სიდნი  
ბრისბანი 19:20 დანიდინი ჰაილბორონი 24:21 ველინგტონი

# ევანდარრომანტი

რასან გრძელდება პოლიფილდ — ლუისის ფრედ დასრულებული მატჩის ამბების გამოძიება სენატორ როი გუდმენის კომისიის მიერ, ევანდარ პოლიფილდსა და ლენოქს ლუისს დაკითხვებზე უწყვეტ სიარული.  
ევანდარი ამჟამად ნიუ იორკშია, ჩვენებს იძლევა და თან კრივის რეფორმაზე საუბრობს. ატლანტიკელი გლადიატორი ერთგვარი დაცინვით იხსენიებს კრივის მენეჯერ-სპეციალისტებს და აცხადებს, დროა, მოკრივემ თავად, თავისი მდივნების და მრჩეველების ხელთ განაგოს თავისივე საქმეები და ვიღაც თალითების გასამდიდრებლად არ იქნოს მუშტებით.  
ეშმაკმა პოლიფილდმა იცის, რასაც ამბობს, გასული შემოდგომიდან ამერიკის სენატში ტრიალებს „კრივის რეფორმის კანონის“ პროექტი, რომელიც სწორედ ამგვარ რამეს გულისხმობს.



## პერესის კამარა

მავანნი ამბობენ, ბეისბოლი მარტივი გასართობიაო. შეიძლება, ამ აზრს ემხრობოდეთ კიდევ მაგრამ, აბა, ერთი „კოლორადო როქისის“ დამჭერ ნეიფი პერესსაც (№5) ჰკითხეთ... „ეგეთი კამარების კეთება ლამის ყოველ თამაშში მიწვევს“, - ამბობს პერესი და დაჭერილ ბურთს ჰალალი ღიმილით გრუნქნით.




## ქვიშანი დარჩებიან!

ავსტრალიური ბონდი ბიჩის გასაჭირზე გასულ შაბათსაც გაუწყეთ. სიდნეის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს ქვეყნის ამ უმშვენიერეს სანაპიროზე პლაჟის ფრენბურთის სტადიონის აგება განუზრახავს და ადგილობრივ ეკოსისტემას დაღუპვით ემუქრება (აკი საამისოდ იქაური, იშვიათი ოქროს ქვიშის 20 პროცენტს ალებასა და სხვაგან გადატანას აპირებენ). პოდა, ბონდიბიჩელებსაც თავიანთი ქვიშის დაცვა დაუფიციათ და ყოველდღე საპროტესტო აქციებს მართავენ... ფოტოზე ერთ-ერთი მათგანი აქციაზე მისულ სიდნელ ჩინოვნიკებს სულაც თავის ეშხიან შუათითს აჩვენებს და უარესის ჩვენებითაც ემუქრება...



## რასეპანგებულები

სისარული და მწუნარება, ისევე როგორც წარმატება და წარუმატებლობა, მოგესხენებათ, მუდამ გვერდიგვერდ დადიან. ისინი გასულ კვირადღეს მალაიზიური სეპანგის ახალგამოჩევილ ტრასაზეც ერთად იყვნენ, სადაც 500 კმ/სმ კლასის მოტოციკლებით მოჯირითე ბიჭებმა სეზონის პირველი ეტაპი გაიარეს... ტრასის ერთ-ერთ მონაკვეთში ჯონ კოსინსკისა (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) და ნორიკ აბეს იღბალმა უმტყუნათ. სამაგიეროდ, მანვე წლის პირველი ხეირი და შამპანიურით განბანვის უფლება მოუტანა ამერიკელ კენი რობერტს (ზედა ფოტოზე), რომელმაც თავისი „სუპერკით“ დისტანცია 44 წუთსა და 56 წამში დაფარა. მეორე-მესამე ადგილებზე გასულების, ესპანელების - კარლოს ჩეკასა (იამაჰა) და ალექს კრივილის (ჰონდა) შედეგი 45-45 წუთი იყო, ჰა-ჰა წამის მეთათვის განსხვავებით.



**სარბიელი**  
საორტული გაჯეტი  
გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბერიდან  
გამოდის სამუშაოს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე  
დირექტორი ბიძინა ლომიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მანუჩარ ბერიძე  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე  
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მმარაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია: ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულიაშვილი, ვიორჯი ვაშაყიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხენია სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოლუაძე, დავით კოჭიანიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, ვაიოხ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კვლავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, ვიორჯი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუსუაკაციაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მია აბზიანიძე, ნათელა ვიორჯიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვლავაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარია ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, ვიორჯი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბეგის  
გამზირი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79,  
საზოგადოებრივი ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29